საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 23 0000456662

26/04/2023

მოქალაქე ლიზი ქურდაძე
ელ ფოსტა: foi+request-1499-4e2f35ed@askgov.ge

ქალბატონო ლიზი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N403858; 10.04.2023) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმართულებით მომუშავე ფსიქოლოგის ფუნქციები და შერჩევის პროცედურები მოცემულია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სმინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებაში. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ თბილისის მასშტაბით საჯარო სკოლებში დასაქმებულ ფსიქოლოგთა რაოდენობას წლების მიხედვით: 2017-2018 წელი - 78 ფსიქოლოგი; 2018 - 2019 წელი - 66 ფსიქოლოგი; 2019 - 2020 წელი - 69 ფსიქოლოგი; 2020 - 2021 წელი 66 ფსიქოლოგი; 2021 - 2022 წელი - 80 ფსიქოლოგი; 2022-2023 წელი - 109 ფსიქოლოგი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირებს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი (სამმართველო), რომლის ფსიქოლოგები ქვეყნის მასშტაბით, ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულების ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს. ცენტრი ქვეყნის განფენილობის გათვალისწინებით შედგება რეგიონული ცენტებისგან, მათ შორისაა თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, რომელის განთავსებულია თბილისში ორ ლოკაციაზე.

ამასთან, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომლის მიზანია დროული და დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური

კონსულტაციის გაწევა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, ფუნქციონირებს ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.
მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს კრიზისულ ინტერვენციებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ცენტრში დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი, კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში, ახორციელებს დაუყოვნებელ ვიზიტს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დამტკიცებულია კრიზისული შემთხვევების მართვის პროტოკოლი, რომელიც განსაზღვრავს კრიზისის მართვის პროცესში ჩართული სუბიექტების კოორდინირებულად მუშაობის პრინციპებს, პროცედურებსა და უფლებამოსილებებს.
აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის
ფუნქციათა შემსრულებელი
ნათია ლომთაძე